სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საბაკალავრო

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
პროგრამის ხელმძღვანელი	აკაკი ცომაია
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS (6 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	17.02.2017 N 01-17
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	26.08.2026 №07-26

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეებისათვის ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის კომპონენტში აბიტურიენტებისათვის სავალდებულო გამოცდად განისაზღვრება მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება (მინიმალური ზღვარი 60%-ზე მეტი).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.
- საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).

შენიშვნა:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდე, სტუდენტობის კანდიდატი უნივერსიტეტში წერს ინგლისური ენის B2 ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტს. დადებითი შედეგი მინიმუმ 61%. B1 დონის დადასტურების შემთხვევაში კანდიდატს აქვს შესაძლებლობა გაიაროს B2 პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკიდან.
- ინგლისური ენის კომპონენტის შეფასება/დადასტურება ხორციელდება აგრეთვე: პირის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენით (FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON)

  ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი სტუდენტობის კანდიდატი ინგლისური ენის ცოდნას ადასტურებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- პროგრამაზე სწავლისას მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სულხან–საბა ორბელიანის უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (უკვე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (კომპეტენციების) თავსებადობა წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

პროგრამის მიზანი

პროგრამის ორიენტირებია:

- საბაკალვრო საფეხურზე იმ ტიპის უნარებისა და ცოდნის ჩამოყალიბება, რამაც უნდა გაზარდოს სტუდენტის საერთაშორისო გარემოში ადაპტირებისა და დამკვიდრების შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ პროგრამა ფოკუსირებული იქნება ინტერნაციონალიზაციის ოთხ ძირითად ორინეტირზე (აქტივობა, კომპეტენცია, კულტურა და პროცესი).
- შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მომავალში ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, საბაკალვრო საფეხურის სტუდენტებისთვის ფუნდამენტალური და სიღმისეული ცოდნის მიცემა მართვის ხელოვნების, ეკონომიკის, ბიზნესის, ტექნიკური და ფილოსოფიის მეცნიერებების მიმართულებით;

- შესაბამისი უნარების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა დისციპლინათა კომპონენტების ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნების ჩამოყალიბება, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია ქართულ, ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე, შემდგომი სწავლების საჭიროებების გაცნობიერება და ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან უწყვეტი პარტნიორული თანამშრომლობის გზით კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

შრომიც ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნის მიღწევის ინდიკატორად შემუშავდა ოთხი საკვანძო კომპეტენცია, როგორც სარგებელი, რომელსაც სტუდენტი იღებს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზანი მიღწეულად ითვლება, როდესაც სტუდენტი შეიძენს საკვანძო კომპეტენციებს. ეს კომპეტენციებია:

1. ბიზნესის სფეროში კრეატიული სამეწარმეო იდეების გენერირების, ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციური პროექტების განვითარებისა და დანერგვის უნარი საერთაშორისო ბაზარზე
2. ბიზნეს პროცესების ადამინისტრირების უნარი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ
3. მულტიკულტურულ გარემოში ადამიანებთან სწორი კომუნიკაციასა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
4. მაქსიმალური ეკონომიკური თუ სოციალური სარგებლის ფორმირების საკითხებთან დაკავშირებული კომპლექსური ამოცანების გადაჭრის უნარი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ სექტორში.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზანია ევროპული ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო ბაზარზე, რომელთაც ექნებათ როგორც მრავალმხრივი, ისე ბიზნესის მართვის სპეციალიზირებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. შესაბამისად, პროგრამის ქვემიზნებია თანამედროვე ცოდნის მიწოდება და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავება:
ა) ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში
ბ) ორგანიზაციათა მემეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში
გ) ორგანიზაციათა ფინანსების მართვის სფეროში

სწავლის შედეგები
ცოდნა გაცნობიერება კურსდამთავრებული: 1. **აღწერს/ხსნის** (ა) ბიზნესის მაკრო-მიკრო გარემოებს; (ბ) ბიზნეს პროცესებს; (გ) ბიზნეს ადმინისტრირების ფუნქციურ სფეროებში მიმდინარე ტენდენციებს, თანამედროვე კომუნიკაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს; (დ) ბიზნესთან დაკავშირებულ რისკებს და ავითარებს ჰეჯირების სტრატეგიებს; (ე) მენეჯმენტის ფუნქციებს.
უნარი კურსდამთავრებული: 2. **წყვეტს** პრობლემებს: ა) ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში; ბ) ორგანიზაციათა მემეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში. 3. **აწარმოებს ფინანსურ აღრიცხვას**: სათანადო რეპორტინგი; ფინანსური ანგარიშგების მომზადება (ბალანსი, მოგება/ზარალი, კაპიტალის მოძრაობა, ფულადი ნაკადების მოძრაობა); ადარებს ფაქტობრივ და დაგეგმილ ინფორმაციას. აღრიცხავს მარაგებს და ანაწილებს რესურსებს მიზნობრივად და ეფექტიანად. ააანალიზებს ფინანსური ეფექტიანობის თანაფარდობის მაჩვენებლებს და ქმნის ფინანსურ მოდელებს. იყენებს IT ტექნოლოგიებს ფინანსების მართვაში. 4. **ავლენს – ააანალიზებს – გეგმავს – ავითარებს იყენებს - ნერგავს**: ბიზნეს-კომუნიკაციის უნარებს; მომხმარებლებთან ურთიერთობებს; კორპორაციათა საინვესტიციო გადაწყვეტილებებს; ბრენდის სტრატეგიას; მარკეტინგის

საკომუნიკაციო გეგმას; შესაბამის IT უნარებს; ორგანიზაცია/სამომხმარებლო ღირებულებებს; მარკეტინგული გეგმის ეფექტურ ინდიკატორებს. კორპორაციის რეპუტაციას. 5. **აანალიზებს:** დარგის შესაბამის კვლევით, პრაქტიკულ პროექტებსა და სამეცნიერო ნაშრომებს და წარმოაჩენს შესაბამისი IT ტექნოლოგიების გამოყენებით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა კურსდამთავრებული: **6. პატივს სცემს და მონაწილეობს** თავისუფლების, დემოკრატიის, ანგარიშვალდებულების, სოლიდარობისა და ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებების გავრცელებაში.
სწავლება სწავლის მეთოდი
☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:	
ხუთი სახით დადებითი შეფასება:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	*მაქსიმალური ქულა*
შუალედური შეფასება;	*70 ქულა*
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	*30 ქულა*
დასკვნითი ზეპირი/წერითი გამოცდა	30
სულ	*100 ქულა*
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.	

დასაქმების სფერო

სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი სამეწარმეო ცოდნა და უნარები, რომ მოიპოვოს საჭირო კაპიტალი, შეაგროვოს ინოვაციური იდეები, ჩამოაყალიბოს ადეკვატური ბიზნეს-პროექტი, წამოიწყოს ბიზნეს-საქმიანობა, უზრუნველყოს ბიზნესის მდგრადი გაფართოება, გაიტანოს ბიზნესი საერთაშორისო ბაზარზე და ახალი სერვისების განვითარების გზით შექმნას ახალი ბრენდები და გაზარდოს პროდუქციის ცნობადობის დონე მსოფლიო მასშტაბით. ასევე, კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ სრულად დააკმაყოფილოს როგორც ბიზნესში, ისე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი სექტორში მიმდინარე პროცესების მართვასთან დაკავშირებული ვაკანსიების მოთხოვნები. კერძოდ, უნაკლოდ შეძლოს ორგანიზაციის: ფინანსური აღრიცხვა და სხვა ფინანსური მომსახურება; ლოჯისტიკა და შესყიდვების ორგანიზება; მარკეტინგული მომსახურება და პიარი; სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა; საკადრო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა; კაპიტალის ბაზარზე ფინანსური შუამავლობა; კონფლიქტების მართვა; ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და ინოვაციური იდეების შემუშავება; კერძო და სახელმწიფო სექტორში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა; გლობალური მოვლენებისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების გაანალიზების გზით სხვადასხვა მოვლენათა პროგნოზირება და სხვ. ასევე შეუძლია საკუთარი სწავლის მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებებზე ზრუნვა და ღირებულებათა ფორმირების პროცესში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით, კურსდამთავრებული იპოვის სამუშაოს მენეჯმენტის დაბალი და საშუალო იერარქიის საფეხურზე. შესაბამისად, მონაწილეობას მიიღებს დაგეგმვის, ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა პროცესებში; მოამზადებს ადმინისტრაციულ-ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს; ეფექტიანად წარმართავს და/ან მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებაში, კომპანიის სტრატეგიული გეგმებისა და ინოვაციური პროექტების შემუშავებასა და მათ ადმინისტრირებაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

პროგრამა, ერთი მხრივ, ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების შესწავლასა და სტუდენტში კვლევის უნარების გამომუშავებაზე. პროგრამით შემოთავაზებული კურსები სტუდენტს აძლევს საშუალებას, რომ გააცნობიეროს მიღებული ცოდნა და გამოიყენოს პრაქტიკაში, მოიძიოს და დაამუშავოს სამეცნიერო პუბლიკაციები ინგლისურ და სხვა ენაზე. შეიძინოს სანდო წყაროზე დაფუძნებული მონაცემების მოპოვების და განმარტების გამოცდილება. სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, შეძლოს სწორი ალტერნატივების ფორმულირება, შეფასება და შერჩევა. შეიძინოს დოკუმენტებთან, სტატისტიკურ მონაცემებთან და სხვა წყაროებთან მუშაობის უნარები. აქტიურად ჩაერთოს სტუდენტურ კონფერენციებში. მეორე მხრივ, პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტის პრაქტიკული და პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებზე, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას.

პროგრამა შედგება 3 მოდულისგან: ძირითადი მოდული, ბიზნესის ადმინისტრირების მოდული და სპეციალობის მოდული. ძირითადი მოდული მოიცავს მულტიდისციპლინურ სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლის მიზანია სტუდენტის თვალსაწიერის გაფართოება ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტალურ მეცნიერებებში. კურსები უვითარებს სტუდენტს ინდუქციურ და დედუქციურ აზროვნებას, კონცეფციურ, ადამიანურ და ტექნიკურ უნარებს. შესაბამისად, ფართოვდება

სტუდენტის ინტელექტუალური თვალსაწიერი. სტუდენტი იძენს უწყვეტი სწავლისათვის საჭირო ჩვევებს. ზოგადი მოდული შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისგან. ბიზნესის ადმინისტრირების მოდულის მიზანია, რომ სტუდენტებმა შეძლონ საზოგადოების კეთილდღეობის ერთ–ერთი განსაზღვრავრელი ფაქტორის, კერძო და საზოგადოებრივ სექტორში შეზღუდული რესურსების რაციონალური მართვის ამოცანის გაცნობიერება და ანალიზი. შეიძინონ შესაბამისი უნარები პროდუქციისა და მომსახურების, მათ შორის ინოვაციებისა და გამოგონებების დაგეგმვის, შექმნის, კვლავწარმოების, განახლების, განაწილების და მიწოდების ისეთი სისტემების შემუშავებაში, რამაც საერთაშორისო ბაზარზე ნებისმიერი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა უნდა უზრუნველყოს. მოამზადოს ბიზნეს პროცესების ადმინსტრირებისთვის. მოდული შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისგან. სპეციალობის მოდული იყოფა ორ ნაწილად: ფინანსები და მენეჯმენტ/მარკეტინგი. ფინასური კომპონენტი ფოკუსირებულია ფინანსური აღრიცხვის, მენეჯერული აღრიცხვის, ფინანსების მართვისა და სხვა სპეციალიზირებული ცოდნის მიწოდებაზე. შესაბამისად სტუდენტმა უნდა მიიღოს ფუნდამენტალური ცოდნა ორგანიზაციის შესახებ და შეძლოს საშუალო და დიდი ორგანიზაციის ფინანსების მართვა და ასევე, საფინანსო ბაზრებზე შესაბამისი სერვისების თუ ინსტრუმენტების განვითარება და მომხმარებლისთვის შეთავაზება. მენეჯმენტ/მარკეტინგის მოდული ფოკუსირებულია სპეციალიზირებული ცოდნის მიწოდებაზე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სხვადასხვა მიმართულებით, რომლის საფუძველზეც სტუდენტმა უნდა შეძლოს არაპროგნოზირებად და სწრაფად ცვალებად გარემოში ოპერაციულ, სტრუქტურულ და სტრატეგიულ დონეზე პროცესების დაგეგმვა, ორგანიზება, გაძღოლა და კონტროლი. ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მარკენტიგული სტრატეგიის და ასევე, ოპერატიული სამოქმედო გეგმების შემუშავება, განხორციელება და კონტროლი. მოდული შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისგან. ამ სასწავლო კურსების შესწავლით სტუდენტი იძენს აგრეთვე დარგობრივ პრაქტიკულ უნარებს, რომელიც შეესაბამება კურსდამთავრებულის მომავალი პროფესიული მოღვაწეობისათვის წამოყენებულ მოთხოვნებს. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ კომპლექსურ საბაზისო ცოდნას სპეციალობაში. ისინი ლოგიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან და თითოეული მათგანის ჩაბარება შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა გახდეს კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისათვის. გარკვეული მიმართულებით სტუდენტის სწავლების კონცენტრირება და გაღრმავება ხდება სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით, სტუდენტის ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი. პრაქტიკა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, რომელთა განმავლობაში ისინი მენტორის ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად ასრულებენ სხვადასხვა დავალებებს. სტუდენტი ეცნობა საწარმოს საქმიანობას, პროდუქტის ან/და მომსახურების სპეციფიკას, პრაქტიკის ობიექტის მართვის პროცესთან დაკაშირებულ სიტუაციას, პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებულ ძირითად ეკონომიკურ მახასიათებლებს. ასევე, სტუდენტი თავად იღებს მონაწილეობას საწარმოო პროცესების დაგეგმვის, ორგანიზების, გაძღოლის და კონტროლის საკითხებში, როგორც საწარმოს კორპორაციულ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბიზნესის, ასევე ფუნქციონალურ და ოპერაციულ დონეზე. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი აკვირდება და იღრმავებს თეორიულ ცოდნას საწარმოს ფუნქციონირების მართვის საკითხებში წარმოების, ფინანსების, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის, მარკეტინგისა და სხვა მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს ასევე წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომი და ორიენტირებულია სტუდენტებში სამეცნიერო ტიპის კვლევების განასახორციელაბლად საჭირო უნარების ჩამოყალიბებზე, რაც გულისმობს პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის, პრობლემის იდენტიფიცირების, რელევანტური ინფორმაციის შეკრების, პრობლემების ფორმულირებასა და მეცნიერული მეთოდებით მათი გადაწყვეტის შესაძლებლობებს. აღნიშნულის განსახორციელებლად კურსის ფარგლებში სტუდენტი იღებს შესაბამის ცოდნას სამეცნიერო მეთოდებზე, რაც ეხმარება სტუდენტს ჰიპოთეზისა და მოდელის ჩამოყალიბებაში და კომპლექსური პრობლემის გამარტივების შემდეგ პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ოპტიმალური გზის დასახვაში. სამეცნიერო ნაშრომის ანგარიში უნდა პასუხობდეს ყველა ამ მოთხოვნას და ასევე სტუდენტმა უნდა შეძლოს ნაშრომის პრეზენტირება. როგორც თავად ნაშრომი, ისე მისი პრეტენცაცია ქმნის ნაშრომის ღირებულებას.

სასწავლო დისციპლინების ფორმატი არ არის სტანდარტული, არც სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა სტანდარტული. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება კონკრეტული დისციპლინის შესწავლას. ამ პრინციპების გათვალისწინებითაა დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროებიც.

შენიშნვა: პროგრამაზე ჩარიცხული ქართულენოვანი სტუდენტების შემთხვევაში, მათ აქვთ შესაძლებლობა მეორე უცხო ენის ნაცვლად აირჩიონ უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი.

№	მოდული/საგანი	წინაპირობა	ECTS კრედიტი							სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი							
				I	II	III	IV	V	VI		
	ზოგადი მოდული		კურსის სტატუსი								
1.	ინტენსიური ინგლისური ენის კურსი (B2+)	წინაპირობის გარეშე	C	6/150						81	69
2.	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	წინაპირობის გარეშე	C	6/150						81	69
3.	აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	C	6/150						30	120
4.	მეორე უცხო ენა*	წინაპირობის გარეშე	C		6/150	+	+	+		81	69
	ბიზნესის ადმინისტრირების მოდული										

5.	მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები	მენეჯმენტი	C					6/150		28	122
6.	ბიზნესის მდგრადი განვითარება	წინაპირობის გარეშე	E			6/150				29	121
7.	კალკულუსი 1	წინაპირობის გარეშე	C	6/150						29	121
8.	კალკულუსი 2	კალკულუსი 1	C		6/150					29	121
9.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	კალკულუსი 2	C			6/150				28	122
10.	წრფივი ალგებრა	კალკულუსი 2	E				6/150			29	121
11.	მიკროეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე	C		6/150					29	121
12.	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები	C			6/150				29	121
13.	ბიზნეს სამართალი	წინაპირობის გარეშე	E				6/150			28	122
14.	ინვესტიციების საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	E					6/150		29	121
15.	შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში	ბიზნესის სტატისტიკა; მაკროეკონომიკის პრინციპები	E						6/150	29	121
16.	საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში 1	წინაპირობის გარეშე	C			3/75				19	56
17.	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 2	წინაპირობის გარეშე	C			3/75				19	56
18.	საწარმოო პრაქტიკა	მაკროეკონომიკის პრინციპები; შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში; მარკეტინგის საფუძვლები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.	C						4/100	80	20

		მენეჯმენტი. ბიზნესის საფუძვლები. შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში 2.									
19.	საბაკალავრო ნაშრომი	საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობაა: სავალდებულო კურსების მეშვეობით მინიმუმ 90 კრედიტის დაგროვება	C						8/200	29	171
20.	საერთაშორისო მენეჯმენტი	მენეჯმენტი	E					6/150		26	124
21.	ეკონომიკის პოლიტიკის გამოწვევების ისტორია	წინაპირობის გარეშე	E			6/150				29	121
22.	კორპორაციული კომუნიკაცია	მენეჯმენტი	E			6/150				28	122
23.	შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში	წინაპირობის გარეშე	C					6/150		29	121
24.	ბიზნესის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	C	6/150						29	121
	ფინანსების მოდული			ECTS							
25.	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში I	წინაპირობის გარეშე	C				6/150			28	122
26.	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში I	C					6/150		28	122
27.	შესავალი მენეჯერულ აღრიცხვაში	წინაპირობის გარეშე	E						6/150	29	121
28.	შესავალი ფინანსურ მენეჯმენტში	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II	E						6/150	28	122
29.	საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS	შესავალი ფინანსურ	E						6/150	29	121

		აღრიცხვაში II									
30.	კორპორაციული ფინანსები	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II	E						6/150	29	121
31.	რისკები და დაზღვევა	ბიზნესის საფუძვლები	E						6/150	29	121
მენეჯმენტის და მარკეტინგის მოდული											
32.	მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	C		6/150					29	121
33.	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	C		6/150					29	121
34.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	მენეჯმენტი	C						6/150	29	121
35.	ორგანზაციული ქცევა	მენეჯმენტი	E						6/150	28	122
36.	ოპერაციათა მენეჯმენტი	მენეჯმენტი	C				6/150			28	122
37.	საჯარო სექტორის ადმინისტრირება	მენეჯმენტი	E				6/150			29	121
38.	გაყიდვების მართვა	წინაპირობის გარეშე	E						6/150	28	122
39.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტი	E						6/150	29	121
40.	პროექტების მართვის საფუძვლები	მენეჯმენტი	E						6/150	29	121
41.	მომხმარებელთა ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები	E						6/150	29	121
42.	ბრენდინგი	მარკეტინგის საფუძვლები	E					6/150		29	121
43.	ფასწარმოქმნის სტრატეგია და ტაქტიკა	მარკეტინგის საფუძვლები	E						6/150	29	121
44.	ციფრული კომუნიკაციების სტრატეგია	მარკეტინგის საფუძვლები	E						6/150	29	121
45.	საერთაშორისო მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	E				6/150			29	121

46.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 1, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 2	C				6/150			29	121
47.	ლიდერობის შესავალი	მენეჯმენტი	E				3/75			15	60
48.	ფრანგული ენა (A1)	წინაპირობის გარეშე	C/E							81	69
49.	ფრანგული ენა (A2)	ფრანგული ენა (A1)	C/E							81	69
50.	ფრანგული ენა (B1.1)	ფრანგული ენა (A2)	C/E							81	69
51.	ფრანგული ენა (B1.2)	ფრანგული ენა (B1.1)	C/E							81	69
52.	გერმანული ენა (A1)	წინაპირობის გარეშე	C/E							81	69
53.	გერმანული ენა (A2)	გერმანული ენა (A1)	C/E							81	69
54.	გერმანული ენა (B1.1)	გერმანული ენა (A2)	C/E							81	69
55.	გერმანული ენა (B1.2)	გერმანული ენა (B1.1)	C/E							81	69
56.	ქართული ენა (A1.1)	წინაპირობის გარეშე	C/E							81	69
57.	ქართული ენა (A1.2)	ქართული ენა (A1.1)	C/E							81	69
58.	ქართული ენა (A2.1)	ქართული ენა (A1.2)	C/E							81	69
59.	ქართული ენა (A2.2)	ქართული ენა (A2.1)	C/E							81	69
60.	ინგლისური ენა (B2.1)	წინაპირობის გარეშე	C/E	*	*					55	95
61.	ინგლისური ენა (B2.2)	ინგლისური ენა (B2.1)	C/E	*	*					55	95
		სემესტრი		**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**		
		წელი		**60**		**60**		**60**			

	ჯამში	180
	ზოგადი მოდული	180 კრედიტიანი პროგრამით
1.	სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	42
2.	არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	0
3.	კრედიტების მთლიანი მოცულობა ზოგად მოდულში	42
	ბიზნესის ადმინისტრირების მოდული	
4.	სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	66
5.	არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	12
6.	კრედიტების მთლიანი მოცულობა ბიზნესის ადმინისტრირების მოდულში	78
	კონცენტრაციის მოდული	
	ფინანსების მოდული	
7.	სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	12
8.	არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების	6

	ჯამი	
9.	კრედიტების მთლიანი მოცულობა ფინანსების მოდულში	18
	მენეჯმენტისა და მარკეტინგის მოდული	
10.	სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	30
11.	არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი	12
12.	სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი მენეჯმენტისა და მარკეტინგის მოდულში	42
13.	სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი კონცენტრაციის მოდულში	42
14.	მთლიანი კრედიტების არჩევითი კონცენტრაციის მოდული	18
15.	მთლიანი კრედიტების კონცენტრაციის მოდული	60
	კრედიტების ჯამი სავალდებულო კურსებში	
16.	ზოგადი მოდული	42
17.	ბიზნესის ადმინისტრირების მოდული	66
18.	კონცენტრაციის მოდული	42
19.	სულ სავალდებულო კურსები	150

	კრედიტების ჯამი არჩევით სასწავლო კურსებში	
20.	ზოგადი მოდული	0
21.	ბიზნესის ადმინისტრირების მოდული	12
22.	კონცენტრაციის მოდული	18
23.	სულ არჩევითი კურსები	30
24.	ჯამი	180

საგანმანათლებლო პროგრამის ქვემიზნები	სწავლის შედეგები					
	1	2	3	4	5	6
თანამედროვე ცოდნის მიწოდება და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში	x	x	x	x		x
თანამედროვე ცოდნის მიწოდება და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავება ორგანიზაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში	x	x	x		x	x
თანამედროვე ცოდნის მიწოდება და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავება ორგანიზაციათა ფინანსების მართვის სფეროში	x	x	x		x	x

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

N	მოდულის საგანი	კურსის სტატუსი	სწავლის შედეგები					
			1	2	3	4	5	6
1	ინტენსიური ინგლისური ენის კურსი (B2+)	I	x					
2	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	I	x					
3	აკადემიური წერა	I	x					
4	ფრანგული ენა (A1)	I	x					
5	ფრანგული ენა (A2)	I	x					
6	ფრანგული ენა (B1.1)	D	x					
7	ფრანგული ენა (B1.2)	D	x					
8	გერმანული ენა (A1)	I	x					
9	გერმანული ენა (A2)	I	x					
10	გერმანული ენა (B1.1)	D	x					
11	გერმანული ენა (B1.2)	D	x					
12	ქართული ენა (A1.1)	I	x					
13	ქართული ენა (A1.2)	I	x					
14	ქართული ენა (A2.1)	I	x					
15	ქართული ენა (A2.2)	I	x					
16	მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები	D	x					x
17	ბიზნესის მდგრადი განვითარება	D	x	x				x
18	კალკულუსი 1	I			x			
19	კალკულუსი 2	D			x			
20	სტატისტიკა ბიზნესისთვის	D	x	x	x	x		
21	წრფივი ალგებრა	D			x			
22	მიკროეკონომიკის პრინციპები	I	x	x	x	x		x
23	მაკროეკონომიკის პრინციპები	I	x	x	x	x		x

24	ბიზნეს სამართალი	D	x	x		x		x
25	ინვესტიციების საფუძვლები	D	x	x	x	x		x
26	შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში	M	x	x	x	x		x
27	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 1	I	x					
28	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 2	D	x					
29	საწარმოო პრაქტიკა	P		x				x
30	საბაკალავრო ნაშრომი	P/M		x	x			
31	საერთაშორისო მენეჯმენტი	D	x			x		
32	ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევ ისტორია	D	x					
33	კორპორაციული კომუნიკაცია	D	x			x		
34	შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში	D		x	x			
35	ბიზნესის საფუძვლები	I	x		x	x		x
36	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში I	I		x	x		x	
37	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II	D		x	x		x	
38	შესავალი მენეჯერულ აღრიცხვაში	D		x	x		x	
39	შესავალი ფინანსურ მენეჯმენტში	D		x	x		x	
40	საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS	M		x			x	
41	კორპორაციული ფინანსები	M		x	x		x	
42	რისკები და დაზღვევა	M		x	x		x	
43	მენეჯმენტი	I		x		x	x	x
44	მარკეტინგის საფუძვლები	I		x			x	x
45	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	D		x		x	x	x
46	ორგანზაციული ქცევა	D		x		x	x	
47	ოპერაციათა მენეჯმენტი	M		x		x	x	
48	საჯარო სექტორის ადმინისტრირება	D		x		x	x	x
49	გაყიდვების მართვა	M		x		x	x	
50	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	D		x		x	x	

51	პროექტების მართვის საფუძვლები	M		x				x
52	მომხმარებელთა ქცევა	D		x				x
53	ბრენდინგი	D		x				x
54	ფასწარმოქმნის სტრატეგია და ტაქტიკა	M		x				x
55	ციფრული კომუნიკაციების სტრატეგია	M		x				x
56	საერთაშორისო მარკეტინგი	M		x				x
57	ინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტი	D		x				x
58	ლიდერობის შესავალი	M		x				x
59	ინგლისური ენა (B2.1)	D	x					
60	ინგლისური ენა (B2.2)	D	x					

I –შესავალი კურსები Introduction	D - განმავითარებელი კურსები Developing	P - პრაქტიკული კურსები Practical	M- დაოსტატების კურსები Master

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა				
№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.	ინტენსიური ინგლისური ენის კურსი (B2+)	X	X	X
2	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	X	X	X
3	აკადემიური წერა	X	X	X
4	მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები	X	X	X
5	ბიზნესის მდგრადი განვითარება	X	X	X
6	კალკულუსი 1	X	X	
7	კალკულუსი 2	X	X	
8	სტატისტიკა ბიზნესისთვის	X	X	
9	წრფივი ალგებრა	X	X	
10	მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	
11	მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	
12	ბიზნეს სამართალი	X	X	X
13	ინვესტიციების საფუძვლები	X	X	

14	შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში	X	X	X
15	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 1	X	X	
16	საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესში 2	X	X	
17	საწარმოო პრაქტიკა	X	X	X
18	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X
19	საერთაშორისო მენეჯმენტი	X	X	X
20	ეკონომიკის პოლიტიკის გამოწვევების ისტორია	X	X	X
21	კორპორაციული კომუნიკაცია	X	X	X
22	შესავალი ბიზნესის კვლევის მეთოდებში	X	X	
23	ბიზნესის საფუძვლები	X	X	
24	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში I	X	X	X
25	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში II	X	X	X
26	შესავალი მენეჯერულ აღრიცხვაში	X	X	X
27	შესავალი ფინანსურ მენეჯმენტში	X	X	
28	საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS	X	X	X
29	კორპორაციული ფინანსები	X	X	
30	რისკები და დაზღვევა	X	X	
31	მენეჯმენტი	X	X	

32	მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X
33	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	
34	ორგანზაციული ქცევა	X	X	
35	ოპერაციათა მენეჯმენტი	X	X	X
36	საჯარო სექტორის ადმინისტრირება	X	X	X
37	გაყიდვების მართვა	X	X	
38	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X
39	პროექტების მართვის საფუძვლები	X	X	
40	მომხმარებელთა ქცევა	X	X	X
41	ბრენდინგი	X	X	
42	ფასწარმოქმნის სტრატეგია და ტაქტიკა	X	X	X
43	ციფრული კომუნიკაციის სტრატეგია	X	X	
44	საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	X
45	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	X	X	
46	ლიდერობის შესავალი	X	X	
47	ფრანგული ენა (A1)	X	X	
48	ფრანგული ენა (A2)	X	X	
49	ფრანგული ენა (B1.1)	X	X	
50	ფრანგული ენა (B1.2)	X	X	

51	გერმანული ენა (A1)	X	X	
52	გერმანული ენა (A2)	X	X	
53	გერმანული ენა (B1.1)	X	X	
54	გერმანული ენა (B1.2)	X	X	
55	ქართული ენა (A1.1)	X	X	
56	ქართული ენა (A1.2)	X	X	
57	ქართული ენა (A2.1)	X	X	
58	ქართული ენა (A2.2)	X	X	
59	ინგლისური ენა (B2.1)	X	X	X
60	ინგლისური ენა (B2.2)	X	X	X